2018 წლის საუკეთესო სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევართა დათვალიერება–კონკურსი

2018 წლის 5 ოქტომბერს არქიტექტურის დღე – 2018 ფარგლებში ჩატარდა არქიტექტურის მიმართულების სტუდენტთა წლის საუკეთესო სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევართა კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოვება. კონკურსი ტარდება შემდეგ ნომინაციებში: ქალაქთმშენებლობა, ლანდსაფტის არქიტექტურა, მოცულობითი არქიტექტურა (არჩილ და ქეტევან ქურდიანების სახელობის პრემია), რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია, ინტერიერი და დიზაინი, გარემოს დიზაინი.

სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა კონკურსზე წარადგინა 5 სადიპლომო სამაგისტრო ნამუშევარი სხვადასხვა ნომინაციებში:

ნომინაცია: „მოცულობითი არქიტეტურა“

1. ეკა ბარბაქაძე, თემა: „ეკოლოგიის ინსტიტუტი 500 სტუდენტზე“ ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მედეა მელქაძე

2.ქსოვრელი თამარ, თემა: „ღვინის სამყარო სოფელ ხვანჭკარაში“ ხელმძღვანელი პროფ. ნინო იმნაძე

ნომინაცია: „ლანდშაფტის არქიტექტურა“

ლაშა გოგიჩაიშვილი, თემა: „საგასტროლო თეატრი რიყეზე“ ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მედეა მელქაძე

ნომინაცია „ინტერიერი და დიზაინი“

ანა ფეიქრიშვილი, თემა: „კომაროვის პანსიონის ინტერიერის პროექტი“ხელმძღვანელი პროფ. თინათინ ჩიგოგიძე

ნომინაცია „გარემოს დიზაინი“

ნუცა დემეტრაშვილი, თემა: „ქ. თბილისში საპარკინგე სისტემის დიზაინ პროექტი“ ხელმძღვანელი პროფ. ნინო ხაბეიშვილი

აღსანიშნავია, რომ ყველა ნომინაციაში ჩვენ სტუდენტებს გადაეცათ დიპლომები.

თამრ ქსოვრელს ნომინაცია „მოცულობითი არქიტექტურა“ მიენიჭა არჩილ და ქეთევან ქურდიანების სახელობის დიპლომი.

ანა ფეიქრიშვილს ნომინაცია „ინტერიერი და დიზაინი“ გადაეცა საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი.

ნუცა დემეტრაშვილს ნომინაცია „გარემოს დიზაინი“ გადაეცა საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი.

ეკა ბარბაქაძეს და ლაშა გოგიჩაიშვილს გადაეცათ მონაწილეობის დიპლომები.

ვულოცავთ ჩვენს სტუდენტებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს შემოქმედებით ცხოვრებაში.

კონკურსის ორგანიზატორია საქართველოს არქიტექტორტა კავშირი, ტანაორგანიზატორები საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი არქიტექტურული სკოლები.